



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1430  
30/07/2018

ქალაქი ბათუმი

1430-05-4-201807300912



**მადონა დავითაძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღის მიცემისა და ლენა გელაძეზე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი, მე-3 და მადონა დავითაძის 2018 წლის 27 ივლისის №2155-05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მადონა დავითაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელს, მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღე, 2018 წლის 30 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით.

2. ლენა გელაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს - სპორტისა და ტურიზმის საკითხებში, დაეკისროს ამავე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე დროებით მომუშავე მადონა დავითაძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 30 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყო საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

